# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

N722 2023 წლის 18 აპრილი ქ. თბილისი

## საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის უძრავი ნივთების გაცვლაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მიეცეს თანხმობა, რომ ფიზიკურ პირ ლევან პაპაშვილს (პ/ნ: 22001002393) საკუთრებაში გადასცეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ მუხათში მდებარე 40625.00 კვ/მ სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №84.06.34.048.603) ლევან პაპაშვილის საკუთრებაში არსებული, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, წინწყაროში მდებარე 50000.00 კვ/მ სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №84.10.38.000.017) უფლებრივი ტვირთისაგან, მათ შორის, მესამე პირ(ებ)ის

იპოთეკის უფლებისაგან თავისუფალ მდგომარეობაში სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ.

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი